სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/56

ქ. თბილისი 5 მარტი 2019

მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების დამუშავება- ტესტირების საუნივერსიტეტო სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების “მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 5 მარტის №01-05-02/6 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1 შეიქმნას “მაღალი სიზუსტის მექატრონული ტექნოლოგიების დამუშავება-ტესტირების საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;

2 აღნიშნული დადგენილება წარედგინოს სტუ-სწარმომდგენლობით საბჭოს (სენატს) დასამტკიცებლად;

3. საკითხს წარადგენს პროფ. ზ. გასიტაშვილი;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — **არჩილ ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გიორგი სალუქვაძე**